საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1588
10/03/2023

1588-21-2-202303101226

შპს „მეგა ჰოლდინგს“
მის: თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესი

სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ 2023 წლის 27 თებერვალს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N1499 განცხადება, რომელიც ეხება ქ. კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) ღია კარიერული წესით მოპოვებას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის 9.9.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაცია, რომელიც ეხება კარიერის დამუშავების ეტაპზე ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას, საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას. კერძოდ, აღნიშნული ქვეთავის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე დღის საათებში არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობას (45 დბა), თუმცა დაზუსტებას და შესაბამისი გაანგარიშების წარმოდგენას საჭიროებს როგორ იქნა მიღებული ხმაურის გავრცელების დონე 45 დბა (ან ნაკლები) მნიშვნელობა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბადოს დამუშავების პროექტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ობიექტი კვეთს მელიორაციის სატუმბი სადგურის ბუფერს. გზშ-ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხი - პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით შპს ,,საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს ,,საქართველოს მელიორაციის” მიერ წაყენებული ტექნიკური პირობების (არსებობის შემთხვევაში) მითითებით;
- საბადოს დამუშავების პროექტში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს კარიერის გადახსნითი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, პროექტის მესამე თავში მოცემული ინფორმაციის თანახმად, კარიერი გადახსნას არ საჭიროებს, ხოლო პირველი თავის 1-ვ ქვეთავის მიხედვით, ლიცენზირებული ობიექტის ნაწილი ფართობის გადახსნისთვის გამოყენებული იქნება ბულდოზერი ,,T-130“;

- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სკოპინგით დასკვნით მოთხოვნილი ტრანსპორტირების სქემისა და გეგმა-გრაფიკის შესახებ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი შესაძლო ავარიული, მათ შორის ჰიდროდინამიკური პროცესების განვითარების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი ლიცენზირებული ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 740 მ. მანძილით, ხოლო კარიერის დამუშავების პროექტის მე-3 თავის მიხედვით, ქვიშა-ხრეშის კარიერზე მოპოვებული სამთო მასის ტრანსპორტირება მოხდება 1,5 კმ. მანძილზე განთავსებულ სამსხვრევ-დამხარისხებელ საწარმომდე, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში კორექტირებას/დაზუსტებას საჭიროებს დასახლებულ პუნქტებამდე დაშორების მანძილი კერძოდ, ლიცენზირებული ობიექტიდან სოფ. მიქელწყაროსა და სოფ. გომამდე დაცილების მანძილები;
- გზშ-ის ანგარიშის 1.1 ქვეთავის თანახმად, გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმა, თუმცა აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, ხოლო ანგარიშის სხვადასხვა თავში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ნარჩენების წარმოქმნასთან. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო